

მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ.ახალციხე

„19“ „03“ 2018 წ.

შეთანხმების მონაწილეები

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. #106 საინდენტიფიკაციო კოდი 424066977), რექტორის, ასოცირებული პროფესორის, მაკა ბერიძის სახით და და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „უნივერსალი“ (ს/ნ 424253186) დირექტორის, ალექსანდრე პაპაშვილის სახით საქართველოში მიმდინარე საგანმათლებლო რეფორმის ფარგლებში, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განხორციელების უზრუნველყოფის, ასევე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გაანალიზებისა და განზოგადების მიზნით, დებენ წინამდებარე მემორანდუმს „ურთიერთთანამშრომლობის შესახებ“ შემდეგზე:

განავითარონ ურთიერთხელსაყრელი და გრძელვადიანი თანამშრომლობა სტუდენტის ცოდნისა და პროფესიული უნარების ათვისების დარგში, რისთვისაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის ბაკალავრიატის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ და მაგისტრატურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ სტუდენტები გაივლიან პროფესიულ პრაქტიკას შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „უნივერსალი“- ში.

- მხარეთა წარმომადგენლები წინასწარ შეათანხმებენ პროფესიული პრაქტიკის განხორციელებისათვის ყველა აუცილებელი ჩასატარებელი ღონისძიებების განრიგს.
- მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ერთ-ერთი მხარის მიერ შეთანხმების შეწყვეტის წერილობითი ფორმით სურვილის გამოთქმამდე.
- მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგ ზემპლარად და ინახება მხარეებთან.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული, პროფესორი:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „უნივერსალი“ დირექტორი:

მაკა ბერიძე

Handwritten signature of M. Beridze and a blue circular official stamp of the Javakheti State University.

ალექსანდრე პაპაშვილი

Handwritten signature of A. Papashvili and a blue circular official stamp of the LLC 'UNIVERSAL'.